საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1607

ქ. თბილისი

08/12/2021

„შპს„რომპეტროლ საქართველოს“ ნავთობპროდუქტების საცავების (ავზები ჯამური მოცულობით 10180მ³) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 აპრილის № 2-268 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისში აეროპორტის ტერიტორიის ღობესა და მდ. ლოჭინს შორის არსებული შპს “რომპეტროლ საქართველოს“ ნავთობპროდუქტების საცავების (ავზები ჯამური მოცულობით 10180მ³) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 აპრილის №2-268 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-4 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი(N26; 13.04.2018) რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს„რომპეტროლ საქართველოს“ ნავთობპროდუქტების საცავების (ავზები ჯამური მოცულობით 10180მ³) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 აპრილის №2-268 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ნავთობპროდუქტების საცავების (ავზები ჯამური მოცულობით 10180მ³) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე.“

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შპს „რომპეტროლ საქართველომ“ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რომპეტროლ საქართველოს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი